



კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა (Organization and management of transport-logistics processes)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	0719. საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორი Doctor of Engineering Logistics
ფაკულტეტის დასახელება	საინჟინრო-ტექნიკური
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/კოორდინატორი	თეიმურაზ კოჩაძე - პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი რომან მამულაძე - პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
პროგრამის ხანგრძლივობა/ მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი, სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლებისენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №125. 19.04.2012წ; აწსუ-ს აკად.საბჭოს დადგენილება № 79 (11/12) 2012 წ; საინჟ.ტექნიკური ფაკ. საბჭოს სხდომის ოქმი № 7 10.05 2019 წ.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
<p>სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ინჟინერიის, ლოგისტიკის ან სატრანსპორტო დარგის სხვა მომიჯნავე სფეროების კვალიფიკაციით; 2. საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; 3. ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუ-ში ან სათანადო სერთიფიკატის წარმოდგენა). <p>კონკრეტული პირობები განსაზღვრულია აწსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (http://www.atsu.edu.ge/geo/gancxadebebi/doctorantura.pdf).</p> <p>გამონაკლის შემთხვევებში, თუ აპლიკანტს გააჩნია დარგში პრაქტიკული ან/და კვლევითი მუშაობის გამოცდილება (რაც დასტურდება დოკუმენტალურად, შესაბამისი ნაშრომების ან სხვა სახით), მომავალი სადოქტორო ნაშრომის კვლევის დარგთაშორისი თემატიკიდან გამომდინარე და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, აპლიკანტის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობის დადგენა წარმოადგენს დროებითი საფაკულტეტო კომისიის პრეროგატივას, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.</p> <p>მისაღები გამოცდები წერითი ფორმით ტარდება უცხო ენასა და სპეციალობაში. კონკურსის შემთხვევაში, თანაბარი ქულების დაგროვებისას მხედველობაში მიიღება: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, გამოქვეყნებული შრომები და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.</p>	
პროგრამის მიზნები	
<p>პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის ტრანსპორტის დარგში შემოქმედებითი (ნოვატორული) ინიციატივების გენერირება, შედეგზე ორიენტირებული კრეატიული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა, მათი შეფასებისა და განხორციელებისათვის საკვლევ სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ანალიტიკური უნარების გამომუშავება,</p>	

აგრეთვე ტრანსპორტის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე გათვლილი სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება. დოქტორები სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე არსებულ კონიუნქტურის სისტემური და კრიტიკული გააზრებით ადგენენ სატრანსპორტო პროცესების ეფექტურობაზე მოქმედ ფაქტორებს და პრაქტიკული წინადადებების დამუშავებით ხელს უწყობენ დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას და სატრანსპორტო მომსახურების გაყიდვების სტიმულირების არხების გააქტიურებას ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. გადმოცემს დარგის უახლესი მიღწევებით გაჯერებულ განმარტებებს სატრანსპორტო - ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით: რთული მრავალკომპონენტური ინტელექტუალურ-ტექნიკური დინამიკური სისტემების მოდელირება და ეფექტური მართვის საიმედოობის პროგნოზირება; სატრანსპორტო ნაკადებისა და მოძრაობის უსაფრთხო მართვის ინოვაციური მეთოდები; ალტერნატიულ საწვავებზე მომუშავე სატრანსპორტო ენერგეტიკული დანადგარები და მათი ეკოლოგიური თავისებურებები; საზღვაო-სახმელეთო მულტიმოდალური გადაზიდვების სისტემური ანალიზი. 2. აღწერს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში წარმოქმნილ პრობლემებს, არსებული ცოდნის ინოვაციური მეთოდებით ახდენს მათ სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას; 3. განსაზღვრავს თავის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული და სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების შინაარსს;
-------------------------------------	---

<p>უნარი</p>	<ol style="list-style-type: none"> 4. იყენებს კვლევების დაგეგმვის და ჩატარების ინოვაციურ მეთოდებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, პროგრამის თეორიული კომპონენტის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით; თავის სამეცნიერო, პედაგოგიურ თუ ბიზნესსაქმიანობაში ირჩევს კვლევაზე ორიენტირებულ მეთოდებს და ხერხებს; 5. მეცნიერულ კვლევებში ფართოდ იყენებს ინტელექტუალურ-ტექნიკური პროცესების სისტემური მართვის, სატრანსპორტო ლოჯისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდებს და მოდელებს; 6. აფასებს და ანალიზს უკეთებს სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა აღქმადობის პროცესს; მონაწილეობს სატრანსპორტო მომსახურების ახალი პროდუქტის შექმნასა და დანერგვაში; 7. სატრანსპორტო კომპანიის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით შეიმუშავებს ეფექტურ სტრატეგიებს ტვირთნაკადების და მგზავრთნაკადების მოსაზიდად; 8. ორგანიზაციას უკეთებს კომპანიაში (დაწესებულებაში) ლოჯისტიკური მენეჯმენტის, სატრანსპორტო სერვისის, მოძრაობის უსაფრთხოების და სატრანსპორტო-ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურებს; 9. შეიმუშავებს რთული ტექნიკურ-ინტელექტუალური მრავალფუნქციური დინამიკური სისტემის - მიწოდებათა ჯაჭვის მართვის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობრივი იდეებისადმი ახალი მიდგომების მეთოდოლოგიას და პროცესების კვლევის შედეგად დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.
---------------------	--

<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<ol style="list-style-type: none"> 10. მიჰყავს ზოგადი ხასიათის საუბარ-დიალოგი, იცავს სამეტყველო ეთიკეტის წესებს, პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ადგენს ანოტაციებს, რეფერატებს და საქმიან წერილებს. იყენებს მოპოვებული ცოდნისა და კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით პრეზენტაციის ფორმებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე; წარმართავს მოლაპარაკებებს ბიზნეს-პარტნიორებთან და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მიღწეული გარიგებების შესრულებას;
--	--

11. დამოუკიდებლად, საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან და საკუთარ აზროვნებაში დაგროვილი ინფორმაციის გაანალიზებიდან გამომდინარე ახდენს თავისი განათლების დონის დამოუკიდებლად გაღრმავებას, ტრანსპორტის დარგის ეფექტურობის შემზღვევადი „ვიწრო ადგილების“ აღმოჩენას, მათი მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოკვლევას და საბოლოო აღმოფხვრას.

სწავლების მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის დროს გამოიყენება ინტერაქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდები და ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმით. კერძოდ:

სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება თეორიულ მეცადინეობებზე და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით (რეკომენდებული ძირითადი სახელმძღვანელოების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე). თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა - სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა განხილვა პრობლემურ ასპექტში და დოქტორანტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია დარგის თეორიული კვლევისა და და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი ძირითადი ფაქტების შესწავლაზე.

სემინარი ითვალისწინებს პრობლემური საკითხის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში შეირჩევა საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე მიღებული ცოდნის სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემატიკას ან/და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას. სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

კოლოკვიუმების ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელს (სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს) წარუდგენს კოლოკვიუმზე გამოსატანი ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს. ნაშრომი სარეცენზიოდ უნდა დაგაეგზავნოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს ან დარგის აღიარებულ სპეციალისტებს.

პრაქტიკა. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის (პროფესორის ასისტენტობა) გავლა სამეცნიერო ხელმძღვანელის და პედაგოგიკის ფაკულტეტის წარმომადგენლის და/ან დარგის აღიარებული სპეციალისტის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნულის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის, როგორც მომავალი პედაგოგის ჩამოყალიბებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამა „სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა“, მოიცავს სატრანსპორტო დარგში განსახორციელებელი კვლევების სამ მიმართულებას:

- სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია და მოძრაობის უსაფრთხოება;
- სატრანსპორტო საშუალებების ენერგეტიკული დანადგარები და ეკოლოგიური პრობლემები;
- მულტიმოდალური გადაზიდვები.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ძირითადი მეცნიერული კვლევის უნარების განვითარებას, სატრანსპორტო სპეციალობებში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, სემინარის მუშაობაში მონაწილეობას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში (პროფესორის ასისტენტობა).

პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება ტრანსპორტის სფეროს შემსწავლელი არჩევითი კურსების სამი მოდულისაგან და სავალდებულო კურსებისაგან. სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტი) კურსები დოქტორანტს შესაბამისი პროფესორების მიერ მიეწოდება პირველ და მეორე სემესტრში 30 საკონტაქტო სალექციო საათის ფარგლებში; ასათვისებელი კრედიტების ფარგლებში კურსებს დოქტორანტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციის შედეგად პირადი შეხვედრების, სადოქტორო პროგრამის მიმართულების და სადისერტაციო სამუშაოს თემატიკის გათვალისწინებით.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს დისერტაციასთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნებას და კონფერენციებში მონაწილეობას; დოქტორანტის კოლოკვიუმებს; სადოქტორო ნაშრომის წინასწარ განხილვებს; სადოქტორო დისერტაციის შესრულებას და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად სადისერტაციო საბჭოში წარდგენას, სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვას.

სასწავლო გეგმა იხ.დანართის სახით!

იხ დანართი 1.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

სტუდენტის მიერ სასწავლო კომპონენტში საბოლოო შეფასებების მიღება ხდება სემესტრის მანძილზე მიღებულ შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგების დაჯამების საფუძველზე. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს: შუალედურ გამოცდას - 30 ქულა, სტუდენტის დაგეგმილი აქტივობის შეფასებას - 30 ქულა და დასკვნით გამოცდას - 40 ქულა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენცია დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად არ უნდა იყოს 18 ქულაზე ნაკლები (შესაძლო 60 დან). დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენცია უნდა იყოს 15 ქულა (შესაძლო 40 დან).

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასება 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასება 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება F - 0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები სხვადასხვა კურსისათვის განსხვავებულია და კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს: დისერტაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებასა და კონფერენციებში მონაწილეობას; დოქტორანტის მიერ 3 კოლოქვიუმის შესრულებას; სადოქტორო ნაშრომის შესრულებას და დაცვას რომელიც თავის მხრივ, აერთიანებს დისერტაციის ექსპერტიზას, რეცენზირებას და დაცვას;

სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დისკუსიაზე გატანის წინაპირობებია:

1. სადოქტორო პროგრამით სასწავლო კომპონენტისათვის გათვალისწინებული 60 კრედიტის ათვისების დამადასტურებელი კრებსითი უწყისის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კრებსით უწყისს გასცემს დოქტორანტურის განყოფილება და ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი;
2. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული 3 კოლოქვიუმის შესრულების ოქმის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კოლოქვიუმების შესრულება დასტურდება დოქტორანტურის განყოფილების მიერ გაცემული ცნობით 3 კოლოქვიუმის შესრულების შესახებ და ამ კოლოქვიუმების შეფასება, ცნობას ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი. კოლოქვიუმების შეფასების მეთოდის განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტით. კოლოქვიუმის შეფასება ითვლება დადებითად თუ იგი მიიღებს შეფასების სისტემით გათვალისწინებულ ა),ბ),გ),დ) და ე) შეფასებებს, ვ) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს იგივე კოლოქვიუმი შესწორებული სახით ჩააბაროს მომდევნო სემესტრში, ხოლო ზ) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტმა თავიდან უნდა გაიაროს კოლოქვიუმის შესრულების პროცედურა;

3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პუბლიკაციების რაოდენობა, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ გამოცემებში (ბულგარეთის მექანიკოს ინჟინერთა ასოციაციის ეგიდით ორგანიზებული კონფერენციების trans&MOTAUTO და Science. Business. Society შრომების კრებულები და საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული ჟურნალები www.trans-motauto.com; www.hightechsociety.eu ; <http://www.stumejournals.com>; აგრეთვე, ERIH PLUS, Scopus და Web of Science მაღალრეიტინგულ ბაზებში ინდექსირებულ გამოცემებში), რომლებიც დასტურდება სტატიის წარდგინებით; დისერტანტმა შეიძლება წარმოადგინოს მონოგრაფიაც. მონოგრაფია სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღწერის, მათი გადაწყვეტის გზებისა და მეთოდების, მიღწეული კვლევითი შედეგების გამოცემა ბეჭდვითი სახით შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის კონფერენციებში მონაწილეობა და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მოხსენების წარდგენა, რისი შესრულებაც დასტურდება შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნებით კონფერენციის შრომების კრებულში და მისი წარმოდგენით;
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად (აკადემიური საბჭოს დადგენილება №62 17/18 1.03.2018 მ.18 - 3.3);
6. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის განხილვის ოქმი დეპარტამენტის სხდომაზე (სამეცნიერო სემინარზე);
7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ საექსპერტო კომისიის გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; ოფიციალური ექსპერტების რაოდენობა და მათი შრომის შინაარსი განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 19;
8. საექსპერტო კომისიის დადებითი შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ 2 ან 3 შემფასებლის (რეცენზენტის) გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; თუ ვინ შეიძლება იყოს ოფიციალური შემფასებელი (რეცენზენტი) და ოფიციალური შემფასებლის (რეცენზენტის) შრომის შინაარსი განისაზღვრავრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 207 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 20 და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №40(14/15) დადგენილებით; თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება; ორი შემფასებლიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე შემფასებელს;
9. ოფიციალური შემფასებლების (რეცენზენტების) დადებითი შეფასების შემთხვევაში დისერტანტს უფლება ეძლევა დისერტაცია გაიტანოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო განხილვისათვის, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისია დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; სასდისერტაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 207 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილების მუხლი 21 - ით., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის # 17 (09/10) დადგენილებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 7 მაისის №61 (14/15), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის # 17 (09/10) დადგენილებით;
10. სადისერტაციო კომისიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის # 17 (09/10) დადგენილებით;
11. სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (აკადემიური საბჭოს დადგენილება №62 17/18 1.03.2018 მ.25); და უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტს დისერტანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, ნაშრომის საჯარო განხილვისათვის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის მიერ შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ

მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არაადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არაადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არაადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დასახელებული შეფასებები მიიღება შესაბამისი კომისიის/კოლეგიის/საფაკულტეტო

სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ, დადგენილი კრიტერიუმებით, ფარულად

მინიჭებული ქულების (0-100) საშუალო არითმეტიკულის მიხედვით. კერძოდ:

შეფასება "ფრიადი" მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 91-100 ქულას;

შეფასება „ძალიან კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 81-90 ქულას;

შეფასება „კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 71-80 ქულას;

შეფასება „საშუალო“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 61-70 ქულას;

შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 51-60 ქულას;

შეფასება „არაადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 41-50 ქულას;

შეფასება „სრულიად არაადამაკმაყოფილებელი მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 40 ქულას და ნაკლებს.

დასაქმების სფეროები

საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელის დასაქმების სფეროა სატრანსპორტო დარგის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, საწარმოო კოოპერატივები, ლოჯისტიკური ცენტრები და სხვა), აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა სატრანსპორტო მომსახურების, მოძრაობის უსაფრთხოების და ეკოლოგიური მონოტორინგის სფეროში. მათ ასევე შეუძლიათ იმუშაონ ყველა დონის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია განათლების შესახებ საქართველოს კანონებით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

სადოქტორო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ტრანსპორტის დეპარტამენტში და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო-ლაბორატორიულ ბაზებზე; აგრეთვე თანამედროვე ინტელექტუალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ კომპანიებში (რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები), აგრეთვე აწსუ-ს, ბსსა-ს, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზაზე; ყველა განყოფილებაში, სადაც დაგეგმილია კვლევა, არსებობს კომპიუტერული კლასები და ინტერნეტი. ასევე დეპარტამენტს გააჩნია თანამედროვე კომპიუტერები და ინტერნეტში შეუზღუდავად მუშაობის შესაძლებლობა.

სწავლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით პროგრამაში ჩართულია უცხოელი აკადემიური პერსონალი, აგრეთვე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სოფის ტოდორ კაბლემკოვის ტრანსპორტის უნივერსიტეტთან (ბულგარეთი), დიორის იშტვან სეჩენის უნივერსიტეტთან (უნგრეთი), სლოვაკეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი) და სილეზიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან (პოლონეთი) გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე შესაძლებელია პროგრამაში ჩართული დოქტორანტების და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობა.

პროგრამაში მონაწილე ყველა პროფესორს აქვს თავისუფალი წვდომა შესაბამის უახლეს ლიტერატურაზე, ამიტომ დოქტორანტები უზრუნველყოფილია სწავლებისა და კვლევებისათვის აუცილებელი ლიტერატურით. აწსუ-ს გააჩნია თანამედროვე მულტიმედიური სწავლების ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს სატრანსპორტო სპეციალობების დისციპლინების სწავლების თანამედროვე მეთოდების აპრობაცია.

დოქტორანტების მისაღები რაოდენობა

არსებული ინტელექტუალური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, პროგრამას შეუძლია ყოველწლიურად მიიღოს 6 დოქტორანტი.



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა 2019-2022; 2020-2023 წ.წ
 პროგრამის დასახელება: სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა
 მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საინჟინრო ლოგისტიკის დოქტორი

№	მოდულების და კურსების დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/ჯგ	სემესტრი						დაწვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	მოდული 1. სატრანსპორტო სფეროს თეორიები და მოდელები	10	250	60	3	187	60/0/0/0	10						
I.1	კვლევის მეთოდები და მოდელები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში (არჩ)	10												
I.2	სატრანსპორტო ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმების თეორიები და მოდელები(არჩ)	5												
I.3	ევრაზიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების მოდელები(არჩ)	10												
1.4	კვლევის თანამედროვე მეთოდები ინჟინერიაში(არჩ)	5												
1.5	სატვირთოდა სატრანსპორტო ოპერა-ციები საზღვაო ტრანსპორტზე(არჩ)	5												

1.6	რისკების მენეჯმენტი საზღვაო ტრანსპორტზე (არჩ)	5												
სულ														
2	მოდული 2. სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემების ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტები	15	375	90	9	276	90/0/0/0	5	10					
2.1	ტექნოლოგიური პროცესების მოდე-ლირება ავტომობილების ტექნიკურ სერვისში (არჩ)	5												
2.2	მანქანათა აკუსტიკის კვლევის თანამედროვე მეთოდები (არჩ)	5												
2.3	მულტიმოდალური გადაზიდვების რეგიონალური და ტრანსკონტინენტალური ქსელების დაგეგმარება(არჩ)	5												
2.4	სატრანსპორტო გეოსაინფორმაციო სისტემები(არჩ)	5												
2.5	საგზაო ქსელები და სატრანსპორტო ნაკადების ზემოქმედება გარემოზე (არჩ)	5												
2.6	სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ეკონომიურობა, ალტერნატიული საწვავები და ეკოლოგიური ეფექტუ-რობა(არჩ)	5												
2.7	სატრანსპორტო საშუალებების ჰიბრიდული და ელექტრული ამძრავები(არჩ).	5												
3	მოდული 3. სატრანსპორტო-ლოჯის-ტიკური სისტემების ორგანიზაციული და სამართლებრივი ასპექტები	15	375	90	9	276	90/0/0/0	5	10					
3.1	სატრანსპორტო საშუალებების სერვი-სული მომსახურების ლოჯისტიკა(არჩ)	5												
3.2	მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი (არჩ)	5												
3.3	სატრანსპორტო მომსახურების ბაზ-რის სეგმენტაცია თანამედროვე კონი-უნქტურის გათვალისწინებით (არჩ)	5												
3.4	ლოჯისტიკური მენეჯმენტი (სპეცკურსი)(არჩ)	5												
3.5	სატრანსპორტო ლოჯისტიკის ორგა-ნიზაციულ-სამართლებრივი უზრუნ-ველყოფა(არჩ)	5												

3.6	საგადასახადო და საბაჟო საქმის ორგანიზაცია ტრანსპორტზე (არჩ)	5												
3.7	სატრანსპორტო სისტემების შეფასება(არჩ)	5												
4	პროგრამის სავალდებულო კურსები													
4.1	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5	125	30	2	93	30/0/0/	5						
4.2	პედაგოგიური პრაქტიკა	5	125			125			5					
4.3	სემინარი 1	5	125			125	10/0/0	5						
4.4	სემინარი 2	5	125			125	10/0/0		5					
	სულ სასწავლო კომპონენტი	60						30	30					

II კვლევითი კომპონენტი

№	კვლევითი კომპონენტის დასახელება	რომელ სემესტრში უნდა შესრულდეს
1	კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა	III,IV,V
2	დოქტორანტის I კოლოქვიუმი	III
3	დოქტორანტის II კოლოქვიუმი	IV
4	დოქტორანტის III კოლოქვიუმი	V
5	სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა	III,IV,V,VI